გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი:
ანალიტიკური ჩარჩო

ედუარდ აზარი

ორიგინალი სტატია: Azar, E. E. (1990). Protracted Social Conflict: An Anlytical Framework in *The Management of Protracted Social Conflict Theory and Cases.* Dartmouth Publishing Company London, United Kingdom.

A. შესავალი

კონფლიქტი სოციალური ინტერაქციის განუყოფელი ნაწილია. ორი ან მეტი აქტორის ჩართულობის გარეშე კონფლიქტი შეუძლებელია წარმოიქმნას. ის წარმოიშობა იქ, სადაც სახეზეა აქტორთა ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები მაკოორდინირებელ თუ შუამავალ მექანიზმთა არარსებობის ფონზე. ამ ზოგადი აზრით, კონფლიქტი ჩვეული სოციალური ფენომენია, ინდივიდების, საზოგადოებების, სახელმწიფოებისა თუ კოლექტივების მონაწილეობით. 1950-იან წლებში რამდენიმე მკვლევარი შეეცადა, დაეჯგუფებინა კონფლიქტთა სხვადასხვა ფორმა (ოჯახთან ან თემთან დაკავშირებული, პოლიტიკური, კლასობრივი კონფლიქტები) ერთ ონტოლოგიურ კატეგორიად, სოციალურ კონფლიქტად. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სახელმწიფოთაშორისი ომები და საგარეო კონფლიქტებიც კი სოციალური კონფლიქტის ქვესიმრავლედ იყვნენ წარმოდგენილნი. ამგვარად, კონფლიქტების კვლევა მულტიდისციპლინარული და ჰოლისტური მიდგომების მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოში მოექცა (Boulding: 1956; Coser: 1956; Janowitz: 1964; Simmel: 1956).

საგულისხმოა, რომ უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში, ომების, კრიზისებისა თუ კონფლიქტების კვლევამ თანდათანობით კომპარტმენტალიზაცია და დიფერენციაცია განიცადა. პირველ რიგში, წარმოიქმნა ტენდენცია, რომელსაც კონფლიქტი შიდა და გარე განზომილებების მყარ დიქოტომიაში ესმოდა. მაშინ, როდესაც სოციოლოგები, ანთროპოლოგები, ფსიქოლოგები და სხვანი შიდა თუ საშინაო კონფლიქტების (სამოქალაქო ომების, აჯანყებების, შეთქმულებების, სამხედრო გადატრიალებების, ამბოხის, რევოლუციების და სხვ.) კვლევით იყვნენ დაკავებულები, საგარეო კონფლიქტები (სახელმწიფოთაშორისი ომები, კრიზისები, საზღვართან დაკავშირებული კონფლიქტები, ბლოკადები და სხვ.) საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ექსკლუზიურ სფეროდ იქცა. ზოგიერთი მკვლევარი კონფლიქტის ამ შიდა და გარე განზომილებების ერთმანეთთან დაკავშირებას შეეცადა. ნაწილი მათგანი საგარეო კონფლიქტების წყაროს საშინაო პოლიტიკის (Sissinger: 1969; Rosenau: 1966; Rummel: 1963), სახელმწიფოს შიგნით განვითარებულ

კონფლიქტებისა და არეულობების (Rummel: 1973; Wilkenfield: 1973) ან მოსახლეობის მხრიდან წამოსული წნეხისა და რესურსთა ბაზის (Choucri and North: 1975; Pirages: 1978) სტრუქტურებში ეძებდა. მეორე მხრივ, სოციოლოგთა ნაწილი ალაპარაკდა გარესისტემურ ფაქტორებზე, როგორც დამოუკიდებელ ცვლადებზე, რომლებიც საშინაო კონფლიქტებს განაპირობებდნენ. ეიზენშტადტი და როკანი (1973), ისევე, როგორც პეიჯი და სკოჩპოლი (1979) ასკვნიდნენ, რომ შიდა კონფლიქტი, რევოლუციური კრიზისები თუ რეჟიმის ჩამოშლა შეიძლება აიხსნას იმ პატერნებსა და სტრუქტურებზე დაკვირვებით, რომელთაც საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო სისტემები ეყრდნობიან მოცემული ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევისას.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი განვითარების ხაზი, ქვინსი რაიტის (1942) მიერ შემუშავებულ კონფლიქტის ანალიზის თეორიულ მიდგომაზე გადის. კენეტ უოლცი კონფლიქტის მრავალდონიან მიზეზშედეგობრივ ჯაჭვზე ამახვილებდა ყურადღებას, ხაზს უსვამდა სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში ინდივიდის, სახელმწიფოსა და საზოგადოების კონტრასტულ სახე-ხატთა ანალიზის მნიშვნელობას (Waltz: 1959). საშინაო კონფლიქტების კვლევის სფეროში დომინირებდნენ თეორიებიც, რომლებიც კაუზაციის სხვადასხვა შრეს კვლევას მოიცავდა, ისეთი ცნებების მოშველიებით, როგორებიცაა: კოგნიტური ფრუსტრაცია-აგრესია, სტრუქტურულ-ფუნქციური ნაკლოვანება, ჯგუფებს შორის კონკურენცია და სისტემურ ფაქტორთა ინტრუზია. მიზეზშედეგობრივობის მოხელთების ამ მრავალშრიანი მიდგომის დაწყვილებამ ფუნქციურ პრობლემატურ ზონებთან, ზოგადად, კონფლიქტი ფსიქოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო კონფლიქტთა კატეგორიებად დაანაწილა.

დაბოლოს, გარდა კონფლიქტთა ტიპების ამ შიდა თუ საგარეო პოლარიზაციისა და ფუნქციური დიფერენციაციისა, კონფლიქტის მკვლევრები ერთი შეხედვით იზიარებენ ცოდნას, რომელიც კონფლიქტის ქცევით დინამიკაზე დაკვირვებით იწარმოება. მიუხედავად ამისა, განურჩევლად მისი ტიპისა თუ მიზეზისა, კონფლიქტი, როგორც ასეთი, მოიზრება მაშინ, როდესაც ის აშკარა და ძალადობრივია. ფარული, ლატენტური თუ არაძალადობრივი კონფლიქტი კვლევის შესაფერის სფეროდ იშვიათად გვევლინება. მეტიც, კონფლიქტები აღქმულია ორგანული ციკლის პერსპექტივაში. მოიაზრება, რომ ყველა მათგანი გადის გენეზისის, სიმწიფის, შემცირების/რედუქციისა და ამოწურვის ციკლს. ძალადობრივ აქტთა შეწყვეტას ხშირად აიგივებენ მშვიდობასთან (Yaniv and Katz: 1980).

აღნიშნულ სფეროში ბევრი კარგი იდეაა, მაგრამ მეტი ცოდნის დაგროვების საჭიროება მაინც დგას. მართლაც, ჩვენ გვჭირდება კონფლიქტის იმ ტიპის სისტემატურად შესწავლა, რომლებიც ზემოთ ხსენებულ კლასიფიკაციებში ზუსტად ვერ თავსდებიან. მას ჩვენ „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები“ ვუწოდეთ (Azar et al.: 1978; Azar and Cohen: 1981; Azar: 1986). მაგალითისთვის, დღესდღეობით მსოფლიოს განვითარებად რეგიონებში უამრავი აქტიური კონფლიქტია, რომელთა წყაროების შიდა და გარე ფაქტორების, ასევე აქტორებს შორის

გამიჯვნა რთულია. ამას გარდა, არსებობს არაერთი კაუზალური ფაქტორი, დინამიკა, რომელიც ცვალებად მიზნებში, აქტორებსა თუ ამოცანებში აისახება. დაბოლოს, ამ კონფლიქტებში ნათლად არ ჩანს საწყისი და საბოლოო ნიშნულები.

I. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი: გენეზისი, დინამიკა და შედეგები

A. გენეზისი

ჩვენს მოდელში გენეზისის კომპონენტი იმ წინაპირობათა იდენტიფიცირებას ახდენს, რომლებიც არაკონფლიქტური სიტუაციების კონფლიქტურ სიტუაციებად გარდაქმნაზე აგებენ პასუხს. გარდა ამისა, ხსენებულ წინაპირობებში, რომლებიც ამა თუ იმ გაჭიანურებულ კონფლიქტს აღვივებენ, ის ამჩნევს მიზეზშედეგობრივ მიმართებათა პატერნს.

მომდევნო გვერდზე მოცემულია ილუსტრაცია (დიაგრამა 1.1.), სადაც წარმოდგენილია ცვლადთა ოთხი კლასტერი (თემის კმაყოფილება, საჭიროებები, სახელმწიფოს მმართველობითი როლი და საერთაშორისო კავშირები), რომლებიც გაჭიანურებული კონფლიქტის წინაპირობებად გვევლინებიან.

დიაგრამა 1.1
გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტთა გენეზისი და დინამიკა



თემის საჭიროებათა დაკმაყოფილება

გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საზოგადოების კომუნალური ჰომოგენურობაა. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება მრავალი თემისგან შედგება, გაჭიანურებული კონფლიქტების წარმოშობის რისკები გაზრდილია. (ტერმინს ,,თემი" აქ ზოგადი აზრით ვიყენებთ, რათა აღვნიშნოთ პოლიტიზებული ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებიც ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური თუ კულტურული ,,იდენტობისთვის" დამახასიათებელ ნიშნებს იზიარებენ - ავტ. შენიშვნა).

პოლიტიკურად აქტიური, მრავალი თემისგან შემდგარი საზოგადოების ჩამოყალიბებას ორი ფაქტორი უწყობს ხელს. პირველი მათგანი კოლონიური მემკვიდრეობაა. ,,დაყავი და იბატონეს" კოლონიალურმა პრინციპმა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში განაპირობა უნიკალური პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირება, სადაც სახელმწიფო ხელოვნურადაა ინკორპორირებული კომუნალურ ჯგუფთა სიმრავლეში (ასე მოხდა ლიბანში, ისრაელში, მალაიზიაში) ან ერთ, ორ ან მეტ სახელმწიფოდაა დაყოფილი (მაგ. კორეა). მეორე ფაქტორი გახლავთ, ისტორიული კონკურენციისა და მეტოქეობის პატერნი, თავად თემის აქტორებს შორის. მრავალი თემისგან შემდგარი საზოგადოებები, განურჩევლად იმისა, კოლონიზაციის პროცესი უძღვის წინ მათ ფორმირებას თუ თემთაშორისი კონფლიქტი, ხასიათდებიან სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ მთელს შორის წარმოქმნილი უფსკრულით, სადაც სახელმწიფოზე დომინაციას ახორციელებს ერთი კონკრეტული თემის წარმომადგენელი

ჯგუფი ან რამდენიმე თემის მიერ ჩამოყალიბებული კოალიცია. ეს უკანასკნელი საზოგადოების სხვა ჯგუფთა საჭიროებების მიმართ ინდიფერენტულია. განსხვავებული, ხშირად დაპირისპირებული თემების ერთ პოლიტიკურ ერთეულში ძალდატანებით ინტეგრირება თუ ინკორპორაცია ერის მშენებლობის პროცესს აფერხებს, სოციალურ ქსოვილს აზიანებს და გრძელვადიან პერსპექტივაში ფრაგმენტაციისა და გაჭიანურებული კონფლიქტების წარმოშობის რისკებს ზრდის (Alcock: 1972; Azar: 1986, 1979; Kriesbergi: 1982; Osgood: 1979; Pruitt and Rubin: 1986).

საჭიროებები

ჩვენი წინასწარდაშვების თანახმად, ინდივიდები პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილებას იდენტობის ჯგუფთა ფორმაციის მეშვეობით ცდილობენ. თემი იდენტობის ჯგუფია. ამ აზრით, ინდივიდუალური თუ კომუნალური ფიზიკური გადარჩენა და კეთილდღეობა, თავისთავად ცხადი ონტოლოგიური საჭიროებაა. **ეს გადარჩენა კი მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული. სამყაროში, რომელიც რესურსების სიმწირით ხასიათდება, ხსენებული საბაზისო საჭიროებები იშვიათად თუ არის დაკმაყოფილებული თანაბრად და სამართლიანად. შეიძლება ინდივიდთა ერთი კონკრეტული კოლექტივისთვის ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების საჭიროება დღის წესრიგში აღარც კი იდგეს, მაგრამ სხვებისთვის საქმე სულ სხვაგვარად იყოს. საჭიროებათა დეპრივაციით გამოწვეული უკმაყოფილება გამოხატვის კოლექტიურ წესს პოულობს. ამ უკმაყოფილებათა ვერდაკმაყოფილება კი გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტს ნიადაგს უმზადებს.**

რეალურად საბაზისო მატერიალურ საჭიროებათა დეპრივაცია სულაც არ ნიშნავს კონფლიქტის ავტომატურად წარმოშობას. ამ საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვის საჭირო საშუალებათა მიმოცვლა თუ ალოკაცია წარმოადგენს საზოგადოების ზედნაშენზე წვდომის ფუნქციას, მაგალითად, საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, როგორიცაა პოლიტიკურ ხელისუფლებასა თუ ბაზარზე წვდომის ფუნქციას. მაშასადამე, წვდომა საზოგადოებრივ ინსტუტუტებზე (სხვაგვარად - ეფექტური თანამონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში) მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამგვარად, **საზოგადოების ცხოვრებაში ეფექტური თანამონაწილეობა შეგვიძლია თავადაც მივათვალოთ განვითარების საჭიროებათა ნუსხას, ნაცვლად იმისა, რომ მოვიაზროთ უბრალო ინტერესად, რომელიც შეიძლება მოლაპარაკებისა თუ აკრძალვის საგნად იქცეს. ამასთან, თუ მწირი რესურსების პრობლემას გავითვალისწინებთ, ნათელი ხდება, რომ წვდომისა და თანამონაწილეობის სამართლიანი, პატიოსანი განაწილება სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში ნამდვილი იშვიათობაა. რესურსების ეს არათანაბარი განაწილება კიდევ უფრო გამოკვეთილ ფორმებს იღებს მრავალი თემისგან შემდგარ საზოგადოებაში, სადაც წვდომის საჭიროებასთან დაკავშირებული სოციალური სიკეთეები (მაგ. სტატუსთან**

დაკავშირებული პოზიციონალური ღირებულებები) შეზღუდული ოდენობით გვეძლევა მათზე არსებული მოთხოვნის ჰეტეროგენულობისა და მრავალფეროვნების ფონზე.

ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის საჭირო საშუალებათა არარსებობა მესამე სამყაროს ქვეყნებში ხშირად მიეწერება ამა თუ იმ ქვეყნის მიერ არჩეულ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას (Burton: 1984a; Maslow: 1954; Sites: 1973). როგორც წესი, დაუბალანსებელი, სწრაფი ტემპებით მზარდი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია რესურსთა ალოკაციის ტრადიციულ წესებს არღვევს და სექტორულ თუ რეგიონულ დისბალანსს იწვევს. ინდივიდთა კონკრეტული ჯგუფები, განსაკუთრებით უმცირესობის სხვადასხვა წარმომადგენელი კომუნალური ჯგუფი, სწრაფი განვითარების ამ სტრატეგიაში მარგინალიზებულთა სტატუსს იძენენ (Brown: 1985; De Janvry: 1981).

ასეთ დროს ხსენებული მარგინალიზებული ჯგუფები, თავიანთი უკმაყოფილების აღმოფხვრის მიზნით, ქმედებათა საპასუხო რეპერტუარს აგებენ. გამოსწორებისა და რესტრუქტურიზაციის მიზნით მოტივირებული ეს საპასუხო ქმედებები, როგორც წესი, ეკონომიკური სახის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე წვდომას ისახავენ მიზნად. ამ პროცესის მსვლელობას კი, თავის მხრივ, განაპირობებს პოლიტიკური ძალაუფლების ზოგადი განაწილება. შეხების სწორედ ამ წერტილში იჩენს თავს ფიზიკურ საჭიროებათა არდაკმაყოფილებით გამოწვეული უთანხმოება პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლების სამართლიანად და პატიოსნად განაწილების საკითხზე.

ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე წვდომას მეტწილად ამა თუ იმ თემში არსებული მიმღებლობის ხარისხი განაპირობებს. მმართველ პოლიტიკურ ელიტებს საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გაუცხოებული თემების აღიარება და პოლიტიკური დაკმაყოფილება რომ მოეხერხებინათ, ხსენებული ძალაუფლების განაწილების საკითხზე წარმოქმნილი უთანხმოება დამაკმაყოფილებელი შედეგებით აღმოიფხვრებოდა. მაგრამ, ხშირად ისე ხდება, რომ სოციალურ ჯგუფთა კომუნალური იდენტობის არაღიარება და დამიუღებლობა მატერიალურ საჭიროებათა დეპრივაციისა და საზოგადოებრივ პროცესში ჩართულობაზე უარის თქმის მიზეზი ხდება. მაშასადამე, იდენტობის ფორმაცია და აღიარება განვითარების საბაზისო საჭიროებად უნდა მივიჩნიოთ, სადაც კოლექტიური იდენტობა კულტურული ღირებულებების, სახე-ხატების, ადათ-წესების, ენის, რელიგიისა და რასობრივი წარმომავლობის სხვადასხვა ფორმით გვევლინება.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ სამხრეთ აფრიკის შემთხვევა, სადაც შავკანიანებს სოციალურ ინსტიტუტებზე წვდომას უკრძალავენ მათი რასობრივი იდენტობის გამო. უსაფრთხოებასთან და იდენტობასთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილების ხერხებსა თუ მასშტაბებს, ნაცვლად ობიექტური მოცემულობებისა, (მაგალითისთვის ეკონომიკური ან პოლიტიკური მოტივების) იდენტობის უპირატესობაზე აპელირება (თეთრი სუპრემაციზმი) განაპირობებს. ამგვარი აკრძალვა ნოყიერ ნიადაგს უმზადებს ვიქტიმიზებულ

ჯგუფებში ერთობის იდეის გაძლიერებას და შედეგად შესაძლოა კოლექტიური ძალადობა ან სულაც, გაჭიანურებული კონფლიქტი მივიღოთ, თუ, რა თქმა უნდა, არტიკულირებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების სხვა გზები ხელმისაწვდომი არ არის.

მეორე მაგალითად შეგვიძლია ლიბანი მოვიხმოთ, სადაც ძალადობის ხანგრძლივობა მიმღებლობასა და კომუნალურ იდენტობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებს უფრო უკავშირდება, ვიდრე ძალაუფლების ან ფიზიკური რესურსების ათვისებას. ამ სახელმწიფოში თემის უსაფრთხოების საჭიროებათა დაკმაყოფილება, მმართველ ელიტათა სამართლიანი მმართველობა და კულტურული მრავალფეროვნების აღიარება-წახალისება ერი-სახელმწიფოს მშენებლობის ფუნდამენტურ საშენ მასალად გვევლინებიან. უსაფრთხოების საჭიროებაზე უარის თქმას ვერ ავხსნით სამთავრობო ინსტიტუციებზე წვდომის, კულტურული ტოლერანტობის წახალისებისა და მრავალფეროვნების აღიარებაზე აპელირების გარეშე. განვითარების საჭიროებათა ერთი რომელიმე კომპონენტის დეპრივაცია, როგორც წესი, პრობლემებს აჩენს სხვაგანაც. ამგვარად, ნებისმიერი გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის მიზეზთა ახნის მცდელობისას ხსენებულ კომპონენტთა კომპლექსური ურთიერთმიმართების წარმოჩენა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

მმართველობა და სახელმწიფოს როლი

ინდივიდის ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებების, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებზე წვდომისა თუ კომუნალური იდენტობის (სხვაგვარად, პოლიტიკური პლურალიზმის) არდაკმაყოფილება მეტწილად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერაქციების შედეგია. თანამედროვე სამყაროში ამგვარ ინტერაქციათა რეგულირებას, და, მაშასადამე, მსგავსი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას, საკუთარ თავზე პოლიტიკური ერთეული, სახელად სახელმწიფო იღებს. სახელმწიფოს გააჩნია მართვის, ამასთან, სადაც აუცილებელია, ძალის გამოყენების უფლებამოსილება, რაც არეგულირებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, იცავს მოქალაქეებს და აწარმოებს კოლექტიურ სიკეთეებს. მაშასადამე, **საბაზისო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა თუ დაუკმაყოფილებლობის დონეს მეტწილად სახელმწიფოს ინტერვენციული და მედიატორული როლი განსაზღვრავს. რასაკვირველია, იდეალურ სახელმწიფოს, რომელიც სამართლიანად და პატიოსნად მართავს, უნდა ხელეწიფებოდეს ადამიანურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება თემთან თუ იდენტობათან დაკავშირებული განსხვავებების მიუხედავად, ისევე, როგორც კომუნალური ჰარმონიისა და სოციალური სტაბილურობის წახალისება. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე იშვიათად ხდება. სახელმწიფოთა უმრავლესობა, სადაც გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები სახეზეა, არაკომპეტენტური, მოძველებული, მყიფე და ავტორიტარული მმართველობით ხასიათდება, რაც ინდივიდის საბაზისო საჭიროებათა დაკმაყოფილების ამოცანას კიდევ უფრო ართულებს.**

სახელმწიფოთა უმრავლესობა, სადაც გაჭიანურებული კონფლიქტები მძვინვარებს, იშვიათადაა ნეიტრალური. **დემოკრატიულ საზოგადოებებში სახელმწიფო ინდივიდთა ერთობად გვევლინება, რომელსაც ხელთ უპყრია ხალხის მანდატი მმართველობის ეფექტურად განსახორციელებლად და მის შემადგენელ ელემენტებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში მიუკერძოებელი არბიტრის ფუნქციის შესასრულებლად. ემპირიულად თუ შევხედავთ, სამყარო სხვაგვარადაა მოწყობილი. აქ პოლიტიკური ძალაუფლება დომინანტური იდენტობის წარმომადგენელი ჯგუფის ან ჰეგემონურ ჯგუფთა კოალიციის მიერ არის მონოპოლიზებული. ეს ჯგუფები, სახელმწიფოს თავიანთი ინტერესების მაქსიმიზაციის ინსტრუმენტად იყენებენ, სხვათა ინტერესების ნიველირების ხარჯზე. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის დროს ხსენებული ჯგუფები თემებად გვევლინებიან. პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზება ერთი ან რამდენიმე ჯგუფის მიერ სახელმწიფოს სამართლიანი და ეფექტური მმართველობის განხორციელების ინსტრუმენტებს ხელიდან აცლის. შედეგად, საბაზისო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებებს არათანაბრად ინაწილებენ და გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის საშიშროება კიდევ უფრო იზრდება.** ამ აზრით თემის საჭიროებათა დაკმაყოფილება გაჭიანურებული კონფლიქტების შესწავლის საქმეში საბაზისო ელემენტად გვევლინება. მეტიც, სახელმწიფო აპარატზე დომინირება მმართველობის ფორმათა დამახინჯების მეშვეობით მიიღწევა. **ძალაუფლებაზე მონოპოლიის შენარჩუნების მიზნით ეს დომინანტური ჯგუფები სხვა იდენტობის ჯგუფებს სოციალურ ინსტიტუტებზე წვდომას უკრძალავენ და ნოყიერ ნიადაგს უმზადებენ ლეგიტიმურობის კრიზისებს. ასეთი კრიზისები წინდაწინ არსებულ კონკურენციაზე თუ კონფლიქტზე დაფუძნებულ სიტუაციებს კიდევ უფრო ამწვავებენ, სახელმწიფოს ართმევენ შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს მოსახლეობის ბაზისური საჭიროებები და ბიძგს აძლევენ განვითარების სხვა კრიზისთა წარმოშობას.** ამრიგად, რეჟიმის ტიპი და ლეგიტიმურობის დონე მნიშვნელოვანი მაკავშირებელი ცვლადებია საჭიროებებსა და გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტებს შორის.

როგორც ჩანს, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები ძირითადად განვითარებად ქვეყნებში გვხვდება, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც. ეს ქვეყნები ძირითადად ხასიათდებიან მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპებითა და რესურსების ლიმიტირებული ბაზით. მწირი რესურსების გარემოში მოსახლეობის ზრდა პოლიტიკის კეთების ინსტრუმენტთა სპექტრს მნიშვნელოვნად ამცირებს. შესაბამისად, რესურსებზე ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მიერ ინდივიდთა საჭიროებების დაკმაყოფილებისა და კონფლიქტთა პრევენციის საკითხებში მნიშვნელოვან ინდიკატორად გვევლინება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელების უნარი, სადაც საბაზისო მოთხოვნილებების შეფასება, პოლიტიკების ფორმულირება და იმპლემენტირება ხდება. პოლიტიკის განხორციელების უნარი პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს მმართველობით ეფექტურობასთან. მას მეტწილად ძალაუფლების არსებული სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოკვეთილი პატერნები

განაპირობებენ. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტებით ყველაზე მეტად დაზარალებულ სახელმწიფოებში პოლიტიკის განხორციელების უნარი ძალაუფლების უხეშ და მყიფე სტრუქტურას ეფუძნება, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს უუნაროს ხდის, წარმატებით დააკმაყოფილოს ამ უკანასკნელის სხვადასხვა შემადგენელი ელემენტების საჭიროებები. ასე იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო ხშირად უძლურია, გაათავისუფლოს გადაწყვეტილების მიმღების პროცესი პოლიტიკური წნეხისაგან, რომელიც დომინანტი იდენტობის ჯგუფებისგან მომდინარეობს. ამრიგად, **სახელმწიფოს ძალაუფლება და ავტონომია პირდაპირ კავშირშია ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მოცემულ დონესთან.**

საერთაშორისო კავშირები

სახელმწიფოს როლი გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტთა წარმოქმნასა და პრევენციაში, საბაზისო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებითა თუ დაუკმაყოფილებლობით, დამოკიდებულია, არა მხოლოდ ენდოგენურ ფაქტორებზე, მაგალითად, რეჟიმის ტიპსა, სტრუქტურასა და პოლიტიკური ძალაუფლების კონფიგურაციაზე. ქვეყნის შიდა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირება და მათი გავლენის ზრდა სახელმწიფოზე მნიშვნელოვანწილად უკავშირდება მოცემული სახელმწიფოს საერთაშორისო სისტემასთან ურთიერთობის პატერნებს. ქვემოთ საერთაშორისო კავშირების ორ ძირითად მოდელზე გავამახვილებთ ყურადღებას.

პირველი მოდელი ორიენტირებულია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულობის დონეზე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებით. დამოკიდებულობის ეს მიმართება არა მხოლოდ სახელმწიფოს ავტონომიურობას ზღუდავს, არამედ ამახინჯებს ეკონომიკური განვითარების პატერნსაც, რაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საჭიროებათა დაკმაყოფილების პროცესესის შეფერხებას იწვევს. გარდა ამისა, ეკონომიკური დამოკიდებულობა ხშირად აუარესებს თემთა მდგომარეობას ინსტიტუტებზე წვდომის თვალსაზრისით და სახელმწიფოს, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კაპიტალს შორის ფრთხილი კოალიციების ფორმირებებითა თუ რეფორმირებებით ქვეყნის შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს ამახინჯებს.

მეორე მოდელში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ და სამხედრო კლიენტალურ ურთიერთობებზე ძლიერ სახელმწიფოთა შორის. კლიენტალურ ურთიერთობაში პატრონი სახელმწიფო კლიენტ სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტიებს ჰპირდება ამ უკანასკნელის პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ. კლიენტის ლოიალურობა, ასევე, მორჩილება კი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას ნიშნავს, რაც კლიენტ სახელმწიფოს აიძულებს, საშინაო და საგარეო პოლიტიკები არაკოორდინირებულად, ხშირად საზოგადოების მოთხოვნის წინააღმდეგაც კი წარმართოს. ლიბანის მთავრობის ქცევა ბოლო

ოთხი ათწლეულის განმავლობაში ამ არგუმენტის მშვენიერ საილუსტრაციო მაგალითებს იძლევა. 1955 წელს ბაღდადის პაქტის მხარდაჭერა (რამაც ნასერის ძალაუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ რეგიონში ამერიკის ანტი-კომუნისტური პოლიტიკის გაძლიერება გამოიწვია) და 1969 წლის ქაიროს შეთანხმებაზე ხელის მოწერა (რამაც პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას სამხრეთ ლიბანის სამხედრო ბაზად გამოყენების უფლება მისცა ისრაელთან ომის პერიოდში) ორი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ავტონომიის შემცირებითა და დამოკიდებულობის გაზრდით მთავრობა ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეს, სადაც თემთაშორისი ნდობის და ჰარმონიის ეროვნული ინტერესის გატარება შეუძლებელი ხდება.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი თავს იჩენს იქ, სადაც თემებს საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას ართმევენ მათი კომუნალური იდენტობის საფუძველზე. ეს დეპრივაცია კომპლექსური მიზეზშედეგობრივი ჯაჭვის შედეგია, სადაც იკვეთება როგორც სახელმწიფოს როლი, ისე საერთაშორისო კავშირთა პატერნი. გარდა ამისა, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის გენეზისში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვა ობიექტური წინაპირობებიც (კოლონიური მემკვიდრეობა, შიდა ისტორიული პერიპეტიები და თავად საზოგადოების მრავალკომუნალური სტრუქტურა).

B. პროცესის დინამიკა

ზემოთ განვითარებული მსჯელობის მიზანი გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის წინაპირობათა იდენტიფიცირება იყო. სინამდვილეში, ამ წინაპირობათა არსებობა ან მათი აღიარება სულაც არ ნიშნავს მკაფიო, გამოკვეთილი კონფლიქტის აღმოცენებას. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის პროცესის დინამიკის ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ცდილობს, ნათელყოს ის ფაქტორები, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთილ კონფლიქტთა აქტივაციას განაპირობებენ. ქვემოთ გამოვყოფთ ამ პროცესის განმსაზღვრელ ცვლადთა სამ კლასტერს, რომელთა ინტერაქციული ეფექტი ხსენებულ კონფლიქტების ფორმირებაზე ახდენს გავლენას: თემისთვის დამახასიათებელ ქცევებსა და სტრატეგიებს, სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ქცევებსა და სტრატეგიებსა და თავად კონფლიქტის შინაგან მახასიათებლებს (იხ. დიაგრამა 1.2.).

დიაგრამა 1.2.



1. თემისთვის დამახასიათებელი ქცევები და სტრაგეგიები

კონფლიქტის სხვა ფორმების მსგავსად, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი ლატენტურია მანამ, სანამ კონკრეტული, ეფექტური ამამოძრავებელი ფაქტორები დაიწყებდნენ მუშაობას. **როდესაც ჯგუფთა ურთიერთუნდობლობით გამსჭვალულ გარემოში ორგანიზაციული და კომუნიკაციის სისტემები ჩამოშლის რისკის წინაშე დგებიან, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი ესკალაციის ფაზაში შედის. პირველადი ამამოძრავებელი ფაქტორი შეიძლება იყოს (თუმცა აუცილებლად არა) სრულიად ტრივიალური მოვლენა (მაგ. ისეთი ინდივიდის შეურაცხყოფა, რომელსაც კონკრეტულ თემთან ძლიერი იდენტიფიკაციის განცდა გამსჭვალავს). ეს ტრივიალური მოვლენა გარდამტეხ მომენტად იქცევა მაშინ, როცა ინდივიდის ვიქტიმიზაცია კოლექტიურად აღიარებული ხდება. ინდივიდუალური უკმაყოფილების (ან განსხვავებული მიზნების) კოლექტიურ აღიარებას, ბუნებრივია, კოლექტიური პროტესტი მოყვება. ამ უკანასკნელის საპასუხოდ კი, როგორც წესი, საქმე გვაქვს გარკვეული ინტენსივობის რეპრესიის და ჩაგვრის გამოვლენასთან.** დაძაბულობის ესკალაციის ფონზე ვიქტიმიზებული კომუნალური ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ პრეცედენტზე, რომელიც კონფლიქტს წინ უძღვოდა, არამედ პრობლემათა ფართო სპექტრზეც, რომელიც თემის უსაფრთხოებას, ინსტიტუტებზე წვდომისა და მიმღებლობის საკითხებს ეხება (მაგ. სიღარიბის შერჩევითობა ან პოლიტიკური უთანასწორობა). პრეცედენტის პრობლემატურ საკითხთა ამ სპექტრში გადადინება დღის

წესრიგში რესურსების ორგანიზებისა და მობილიზაციის საჭიროებას აყენებს. თემის ორგანიზებისა და მობილიზაციის დონის ზრდასთან ერთად კომუნალური ჯგუფები უფრო და უფრო მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და ტაქტიკების შემუშავებას ცდილობენ, რამაც შეიძლება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, პარტიზანული ომის ან სულაც, სეცესიონისტური მოძრაობის აღზევების ფორმა მიიღოს.

ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის მოთხოვნამ საპასუხოდ, ნაცვლად ინტერესთა გათვალისწინებისა და კომპრომისისა, შეიძლება ძალადობრივი მექანიზმების ამუშავება გამოიწვიოს მმართველი ელიტების მხრიდან. ძალაუფლების ბალანსი, როგორც წესი, სახელმწიფოს სასარგებლოდაა დარღვეული, ამა თუ იმ თემის წარმომადგენელი ჯგუფები სამხედრო და ეკონომიკური დახმარების ძიებას ქვეყნის საზღვრებს მიღმა იწყებენ. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების მქონე ქვეყანათა ნაციონალური საზღვრები ხშირად ისეა განსაზღვრული, რომ კომუნალურ ჯგუფთა განაწილება მხედელობის არეალის მიღმა რჩება, დახმარების ამ მოთხოვნას ჩვეულებისამებრ მოცემული სახელმწიფოს მოსაზღვრე, მეზობელი ქვეყნები პასუხობენ. ხშირად ეს გარე დახმარება უკავშირდება ჰეგემონიურ წესრიგს, რომლის მორღვევასა და სიტუაციის დესტაბილიზაციას კონკრეტული აქტორები ცდილობენ. თემთა შორის დაძაბულობის მანიპულირებით მეზობელი ქვეყნები ცდილობენ ხმაწართმეულ ჯგუფებს საკუთარი ქვეყნის მმართველ რეჟიმთან დაპირისპირებისკენ უბიძგონ. ასეთ დროს დახმარება რეგიონული ძალაუფლების განმტკიცების საშუალებაა (ამ სცენარს განსაკუთრებით ხშირად ვაწყდებით ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში - ავტ. შენიშვნა). ამ ეტაპზე კონფლიქტის შიდა და გარე წყალგამყოფები ფერმკრთალდება და საშინაო თემთაშორისი კონფლიქტი რეგიონულ კონფლიქტად გვევლინება.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველი წინაპირობები, ორგანიზებისა და მობილიზაცია, ეფექტური ხელმძღვანელობის აღმოცენება, მათ მიერ შემუშავებული სტრატეგიები და ტაქტიკები, საზღვრებსმიღმა კავშირების სპეციფიკა და მასშტაბები - ყველა ეს ცვლადი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტთა დინამიკის განსაზღვრაში. ამასთან, თავად ამ ცვლადებზე გავლენას ახდენს პოლიტიკური ძალაუფლების მიერ გადადგმული შემხვედრი, საპასუხო ნაბიჯებიც. მოცემულ კონტექსტში სახელმწიფოს სტრატეგია და ტაქტიკა კიდევ ერთი საკვანძო ფაქტორია გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების ქცევით მახასიათებელთა განსაზღვრისას.

2. სახელმწიფოს ქმედებები და სტრატეგიები

გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის გადაჭრა, ან სულაც მისი ლატენტურ დონეზე შენარჩუნება შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გაითვალისწინებს კომუნალურ უკმაყოფილებებს და კონფლიქტის საწყის ეტაპებზევე შეეცდება გააუმჯობესოს

მათი მდგომარეობა. საგულისხმოა, რომ უკმაყოფილებათა გათვალისწინების ამ სტრატეგიას იშვიათად მიმართავენ. ასე მხოლოდ იმიტომ არ ხდება, რომ კრიზისში პოლიტიკური და ეკონომიკური საფასურიც იგულისხმება, არამედ იმიტომაც, რომ ნორმა, რომლის მიხედვითაც „გამარჯვებულს ყველაფერი ერგება“, მრავალთემიან საზოგადოებებში გავლენას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. კომპრომისისა თუ უკმაყოფილების გათვალისწინების ნებისმიერი ავთენტური მცდელობა შეიძლება მარცხის ნიშნად იქნეს აღქმული. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო, ჩვეულებისამებრ, ამ სტრატეგიას იშვიათად იყენებს და მის ნაცვლად ძალადობრივ რეპრესიას ან ინსტრუმენტალურ კოოპტაციას მიმართავს.

კომუნალური ამბოხის გამკლავების პროცესში სახელმწიფო სტრატეგიას უმეტესად საბრძოლოდ განწყობილი, მკაცრი საპასუხო ზომები განსაზღვრავენ. ასეთი უკომპრომისო სტრატეგია პროპორციულ საპასუხო ნაბიჯებს აწყდება ჩაგრული ჯგუფების მხრიდან. კოოპტაცია ამ კომუნალური უკმაყოფილების განეიტრალების ერთ-ერთი მექანიზმია, მაგრამ მას ხშირად უფრო ტაქტიკურ მანევრად წარმოიდგენენ, რომლის მიზანიც ოპოზიციის ფრაგმენტირება და ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანაა. სტრატეგიის მარცხი კი, თავის მხრივ, ახალ გამართლებებს უძებნის კიდევ უფრო ძალადობრივ, რეპრესიულ მექანიზმებს, რაც ძალადობრივ შეტაკებათა სახიფათო მორევისკენ მიგვაქანებს. ამ პირობებში სახელმწიფოები, თემის წარმომადგენელ საშინაო აქტორებსა და დამხმარე საგარეო ძალებს შორის კავშირებში განხეთქილებების წარმოქმნით, ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციების შეკავებას ნაციონალური საზღვრების ფარგლებში. როცა ეს სტრატეგიაც აღარ ამართლებს, სახელმწიფო (ან დომინანტური თემის აქტორი, რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლებაზე მონოპოლია გააჩნია - ავტ. შენიშვნა) უკვე თავად იწყებს საგარეო მოკავშირეების ძიებას. დამოკიდებულობისა და კლიენტალიზმის არსებული მექანიზმები ხელს უწყობენ გარე აქტორთა პირდაპირ ან ირიბ ინტერვენციას, რაც არა მხოლოდ კონფლიქტის მასშტაბებს ზრდის, არამედ ამ უკანასკნელს კიდევ უფრო აჭიანურებს.

3. კონფლიქტის შინაგანი მექანიზმები

გარდა სახელმწიფოსა და თემის წარმომადგენელ აქტორთა ორგანიზაციული შესაძლებლობებისა თუ სტრატეგიებისა, გაჭიანურებული კონფლიქტის ქცევით მახასიათებელთა ჩამოყალიბებაში, გამოცდილების ისტორია და ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ მხარეთა კომუნიკაციის ფორმებიც მონაწილეობენ.

თემის იდენტობასთან, მარგინალიზაციის შიშთან, ასევე კომუნალურ ერთობასთან დაკავშირებული კონფლიქტები სახელმწიფოსა და თემს შორის ინტერაქციების ანტაგონისტურ მექანიზმებსა და აღქმებს მოიცავს. ქცევის მოტივაციები და აღქმები გამოცდილებებით, შიშებითა და ღირებულებების სისტემებითაა განმტკიცებული. შეზღუდული ან სულაც კანონგარეშე ინტერაქციის დროს მოწინააღმდეგე მხარეს, როგორც წესი, ყველაზე უარესი მოტივები მიეწერება. ასეთ პირობებში ფალსიფიკაციის მცირე შანსი

არსებობს და შედეგად ორმხრივად ნეგატიურ სახე-ხატებს ვიღებთ, სადაც კომუნალური ანტაგონიზმი წახალისებული, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი კი კიდევ უფრო განმტკიცებულია.

კონფლიქტის გაჭიანურებაზე აპელირებით კონფლიქტის მონაწილე მხარეები ახალი იდეების მიმართ მიმღებლობას ვეღარ იჩენენ. ასეთ შემთხვევებში საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტის შეთავაზებები იშვიათდება. მხარეები კონფლიქტის გადაჭრას ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვების მორიგ მექანიზმად აღიქვამენ. ამ პირობებში მტრობა მტრობას შობს და პროცესი ინსტიტუციონალიზებულ ფორმას იღებს (Gurr: 1970). სპირალური კონფლიქტის ეს მექანიზმი, რომელსაც შიში და მტრობა ამუშავებს, მთელი სისწრაფით მიემართება წინ, საბაზისო საჭიროებათა დეპრივაციის პროცესის კიდევ უფრო გაღრმავების ფონზე. ამრიგად, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ აღქმისა და კოგნიტური პროცესებიც, დისკუსიის ნაადრევად შეწყვეტა, მოტივთა არასწორი ატრიბუცია, სტერეოტიპიზაცია, ,,გვირაბის ხედვა", წაქეზება და პოლარიზაცია, რომელთაც კონფლიქტური ინტერაქციები აწარმოებენ (Mitchell: 1981).

C. შედეგების ანალიზი

კონფლიქტების უმეტესობა კლასიკურ კონცეფციაში ნულოვანჯამოვან თამაშს გულისხმობს, რომელიც მონაწილეებს გამარჯვებულებად და დამარცხებულებად მოიაზრებს. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები უარყოფითჯამოვან თამაშს გულისხმობენ მათი შინაგანი ქცევითი მახასიათებლების - გაჭიანურებულობის, მერყევობის, აქტორისა და პრობლემის ერთმანეთში აღრევის - ბუნების გამო. გაჭიანურებულ კონფლიქტებს, კონფლიქტის სხვა ტიპებისგან განსხვავებით, ამოწურვის მკაფიოდ განსაზღვრული ნიშნული არ გააჩნიათ. იმდენად, რამდენადაც ბაზისურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და შეიცავენ სხვა, ლატენტურ კონფლიქტებს, რომლებიც აშკარა კონფლიქტთა ახალ ციკლებს აწარმოებენ, შედეგად ხშირად ვიღებთ სიტუაციას, სადაც კონფლიქტის მონაწილე აქტორები კონფლიქტის საგანში ერევათ. მესამე სამყაროს ქვეყნებში განვითარებულმა სოციალურმა კონფლიქტებმა დამანგრეველი გავლენა იქონიეს სახელმწიფოებზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამგვარ სიტუაციებში განვითარების პროგრამები ეფექტურ ფუნქციონირებას წყვეტენ და მათ ადგილს ეკონომიკური მომჭირნეობა იკავებს. შედეგად ვიღებთ ერთგვარ სავაჭრო ტრანზაქციას, სადაც შიდა უსაფრთხოების მოთხოვნილება კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფასურად მიიღწევა. ეს უკანასკნელი კი საზოგადოების ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილების პროექტს მნიშვნელოვანწილად აზარალებს. უარესია ფსიქოლოგიური ზიანი და გაჭიანურებულ კონფლიქტურ გარემოში გამომწყვდეულ ინდივიდთა დეზორიენტირება. ინდივიდები

ძალადობრივი ომის კულტურის მიმართ კიდევ უფრო მოწყვლადები ხდებიან და უფრო და უფრო შორდებიან ნორმალურ სამოქალაქო ცხოვრებას.

კონფლიქტის გაჭიანურების პროცესი ამახინჯებს და აფერხებს პოლიტიკურ ინსტიტუტთა ეფექტურ მუშაობასაც. ის აძლიერებს პესიმიზმს საზოგადოებაში, ახდენს ლიდერთა დემორალიზებას და აჩერებს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზების ძიების პროცესს. ჩვენი დაკვირვებით, ასეთი საზოგადოებები კონფლიქტში წარმოქმნილი პრობლემებისა და უკმაყოფილებების გადასაჭრელად პასუხებს რთულად პოულობენ. როცა ამგვარი კონფლიქტი კულტურისა და განადგურებული სახელმწიფოს ნაწილი ხდება, ჩნდება პარალიზის საყოველთაო განცდა, რომელიც მოსახლეობის კოლექტიურ ცნობიერებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. უიმედობის ატმოსფერო საზოგადოების ყველა შრის კანქვეშ აღწევს და ალყაში მოქცეულის მენტალიტეტს აღვივებს, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კონფლიქტის გადაჭრის მიზნით მოტივირებული კონსტრუქციული მოლაპარაკებების წარმოებას.

შიში კონფლიქტის მონაწილეთა პოლარიზაციის მთავარი ფაქტორია. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები მარგინალიზაციის შიშს ეფუძნებიან. პარანოია, რომელიც ერთმანეთთან დაპირისპირებულ თემებს იპყრობს, ხშირად გარე აქტორებთან კომფორტული ალიანსებით მთავრდება. ეს მძიმე მდგომარეობა, ნაცვლად ხელთ არსებული რესურსებისა და პერსპექტივებისა, კიდევ უფრო აძლიერებს მესამე აქტორებზე დამოკიდებულობას. გარე მოთამაშეთა კონფლიქტში ჩარევა კი ამ დამოკიდებულობის ციკლის კიდევ უფრო გაღრმავებას, ძალადობრივ კონფლიქტსა და სასოწარკვეთას იწვევს.

გაჭიანურებული კონფლიქტი რომ შევაჯამოთ, ის შემდეგნაირ გარემოს წარმოქმნის:

1. **ფიზიკური უსაფრთხოების გაუარესება**

ეს ყველაზე თვალნათელი შედეგია, რომელიც სიცოცხლესა და მხარდაჭერის რესურსებსაც იწირავს და შფოთვის მიზეზებს კიდევ უფრო აძლიერებს. სხეულთა განადგურების გარდა, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურების განადგურებით განუვითარებლობის ინსტიტუციონალიზაციასაც ახდენს. სამხედრო ხარჯების მიერ ისედაც მწირი რესურსების ჭარბი ათვისების ფონზე განვითარების სისტემურად დაგეგმვის ძალისხმევა შეჩერებული, ან სულაც უგულველყოფილია. განუვითარებლობისა და კონფლიქტის მანკიერი წრე საბაზისო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი ეკონომიკური რესურსების ძიების პროცესში არა მხოლოდ ვიქტიმიზებულ თემებს, არამედ დომინანტურ ჯგუფებსაც ვნებს.

2. **ინსტიტუციური დეფორმაცია**

სოციო-ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების დეფორმაცია, რაც თემთა მხრიდან მათზე წვდომას თითქმის შეუძლებელს ხდის, ორი განსხვავებული გზით მიმდინარეობს: პირველი პოლიტიკურ ინსტიტუციათა დე ფაქტო პარალიზებას გულისხმობს. ცენტრალური მთავრობების ძალაუფლება სუსტდება და შედეგად მათზე დაკისრებული რეგულაციის, ექსტრაქციის, ალოკაციისა და არბიტრაჟის ფუნქციები ეფექტურად ვეღარ სრულდება. დეფორმაციის მეორე ფორმა ზოგადი სოციალური ქსოვილის ფრაგმენტირებაა. კონფლიქტის საწყის ეტაპებზე სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტები, რომელთაც თემთა შორის მიმართებათა გამაშუალებელი ფუნქცია ეკისრებათ, შეიძლება ჯერ კიდევ მუშაობდნენ, მაგრამ კონფლიქტის გაჭიანურებასთან ერთად, ეს კომუნალური კავშირები იყინება და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ინტეგრაციისა თუ ერის მშენებლობის პროექტის პერსპექტივები თანდათანობით სუსტდება.

3. ფსიქოლოგიური არასტაბილურობა

გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი დაპირისპირებულ თემთა შორის განვითარებულ შიშისა და მტრული ინტერაქციების მანკიერ წრეს გულისხმობს. ამგვარი კონფლიქტის გაღვივებასთან ერთად, განწყობები, კოგნიტური პროცესები და აღქმები სიმყიფეს იძენენენ. მათ ადგილს იკავებს ცინიზმი და ომის კულტურა. შინაარსიანი კომუნიკაცია დაპირისპირებულ ძალებს შორის აღარ იწარმოება, შედეგად, მიმღებლობის კომუნალური საჭიროების დაკმაყოფილება თითქმის შეუძლებელი ხდება.

4. დამოკიდებულობის ხარისხისა და კლიენტალიზმის ზრდა

კონფლიქტის გაჭიანურებასთან ერთად თემის წარმომადგენელი აქტორები უფრო და უფრო მძლავრად ეყრდნობიან დახმარების ექსტერნალურ წყაროებს და შედეგად ეს აქტორები ხსენებული კონფლიქტის სისტემატურ თანამონაწილეებად გვევლინებიან. ისინი თანდათანობით ეუფლებიან გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლებას, რაც თემის წევრებს თავიანთი ცხოვრების კონტროლის ხარისხს კიდევ უფრო აუარესებს.

საზოგადოებაში ფესვგადგმული ეს გაჭიანურებული კონფლიქტები ყველაზე დიდ გამოწვევას მათ უმზადებენ, ვისაც ამოცანად მშვიდობის მშენებლობა დაუსახავს. ამ კონფლიქტთა ერთი შეხედვით რთულ, სპეციფიკურ ხასიათზე დაკვირვებით ჩვენ ვხვდებით, რომ კონვენციური მიდგომები სიტუაციას მეტისმეტად ვიწრო პერსპექტივიდან აანალიზებდნენ და ვერაფრით იხელთებდნენ კულისებს მიღმა განვითარებულ დინამიკას, რომელიც გაჭიანურებულ კონფლიქტებს ასეთად აქცევს.